

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს  
2011 წლის 28 იანვრის სხდომის  
ოქმი №7

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომას, საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის 36 წევრიდან, ესწრებოდა 24. სხდომას ესწრებოდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი არჩილ ფრანგიშვილი. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, პროფ. ჯემალ გახოკიძე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა მისი დამტკიცების საკითხი.

**წარმოდგენილი დღის წესრიგი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.**

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის პირველი საკითხი – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან შემოერთებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დებულებების დამტკიცება – მომხსენებელი პროფ. თ. ბაციკაძე.

**რექტორი:** პირველი იანვრიდან პრემიერ-მინისტრის განკარგულებით ტექნიკურ უნივერსიტეტში ინტეგრირებულია მეცნიერებათა აკადემიის 12 კვლევითი ინსტიტუტი, ამას ემატება კიდევ ერთი, რომელიც მეცნიერებათა აკადემიიდანაა გადმოსული. ეს ინსტიტუტები თავიანთი საწარმოო ბაზით შემოდინ ტექნიკურ უნივერსიტეტში და განკარგულებას უკვე პრეზიდენტი მოაწერს ხელს. ამ ინსტიტუტების ჩვენთან შემოერთება ნიშნავს იმას, რომ ხელფასები უნდა გავცეთ იმ ბიუჯეტით, რაც მათ დღეის მდგომარეობით გააჩნიათ. ამას 2 მიზეზის გამო ვერ ვაკეთებთ: ერთია ის, რომ მათ უნდა დავუმტკიცოთ თავიანთი დებულებები, რათა ეს ინსტიტუტები ფუნქციონირებდნენ ჩვენი უნივერსიტეტის ფარგლებში და მეორე – ეკონომიკის სამინისტროსთან შესათანხმებელია რიგი საკითხები, კერძოდ, ეს ეხება ქონებას, რომელიც მათ უნდა გადმოჰყვეთ. შეთანხმება ამ მხრივ არის ძალიან რთული და ხანგრძლივი პროცესი, ვინაიდან ჩვენ ჯერ მოძრავ ქონებაზე უნდა გვქონდეს მიღება-ჩაბარების აქტები და მერე უკვე უძრავ ქონებაზე. ამ კუთხით შესაბამის რეჟიმში უკვე მუშაობენ ჩვენი თანამშრომლები.

აღბათ გაინტერესებთ, რა სტატუსით შემოდინ ჩვენთან და რა შინაარსის დებულებას ვამტკიცებთ. თავდაპირველად მინდა ბოდიში მოგიხადოთ, რომ ეს სასწრაფოდ აღმოჩნდა გასაკეთებელი. ახლა შევეცდები იგი უფრო დეტალურად გაგაცნოთ. პრემიერის განკარგულებაში წერია, რომ ეს ინსტიტუტები იქნებიან დამოუკიდებელი კვლევითი ორგანოები ტექნიკური უნივერსიტეტის ფარგლებში, მაგრამ დამოუკიდებლობა არ ნიშნავს იმას, რომ ესენი იქნებიან ცალკე იურიდიული პირები. რეალურად ისინი ხდებიან ჩვენი სტრუქტურული ერთეულები, ხოლო დამოუკიდებლობა გამოიხატება იმაში, რომ ისინი მოდიან თავიანთი ბიუჯეტებით, სახელმწიფოს მიერ დამტკიცებული პროგრამებით და ამ ყველაფრის გათვალისწინებით უნდა იმუშაონ. ახლა რაც შეეხება მათ სტრუქტურას: ინსტიტუტს ეყოლება დირექტორი, რომელსაც ირჩევს კონკრეტული ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო, ხოლო ინსტიტუტის თანამშრომლები ირჩევენ სამეცნიერო საბჭოს, რომელსაც ჰყავს თავისი თავმჯდომარე. ამ სტრუქტურით მუშაობდნენ ისინი ადრეც და ამავე სტრუქტურით გააგრძელებენ საქმიანობას. დავაზუსტებ, დირექტორის ხელმოწერას სჭირდება თანხმობა ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციისაგან, რის შემდეგაც იგი უკვე ხდება ლეგიტიმური დოკუმენტი. მათ არა აქვთ ცალკე ანგარიში, მაგრამ ექნებათ ქვეანგარიში, რომ არ მოხდეს საერთო ანგარიშთან აღრევა. საგულისხმოა, რომ აღნიშნულ ინსტიტუტებს თან გადმოჰყვებათ საშტატო კადრები, რომელთა ოპტიმიზაცია, მათთან მუშაობა და ა.შ. მათ პრეროგატივად დარჩება. იმ შემთხვევაში, თუ ისინი იღებენ მონაწილეობას შიდა საგრანტო პროექტებში, ჩვენ ვეუბნებით მათ, თუ რა საქმიანობაზე ვაძლევთ თანხას, ანუ ჩვენ ვაგებთ პასუხს მის სწორად მართვაზე, რადგან ეს ჩვენი, როგორც ზედამხედველის, ფუნქციაა, თუმცაღა პროცესის ოპერატიულ მართვაში არ ვერევი და ამით გამოიხატება ინსტიტუტის დამოუკიდებლობა. იგივე ეხება გრანტებს: არა აქვს მნიშვნელობა, ეს იქნება ფაკულტეტზე მოპოვებული, თუ ინსტიტუტის მიერ გაცემული. საინტერესოა, რომ ყველა წარმოდგენილ ინსტიტუტს თავისი ისტორიიდან და გამოცდილებიდან აქვს ბრენდის სახე, ამიტომ ჩვენ ყველა ამ სახელს ვტოვებთ იმ დამატებით, რომ სახელწოდებას დასაწყისში წამდვარებული ექნება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დასახელება. მაგალითად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვლადიმერ ჭავჭავანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტი. ეს უნივერსიტეტები გადმოდიან რა თავიანთი უზუფრუქტით, ჩვენ უნდა გადავიხადოთ გადასახადები მიწის და ა.შ. ასევე, უნდა ვიფიქროთ იმ

ფართების მიზნობრივად გამოყენებაზე, რომლებზეც ეს ინსტიტუტები იყვნენ განლაგებულნი. ბუნებრივია, ღია ფართების დარჩენის შემთხვევაში შეიძლება მათი გაქირავება, რითაც საკუთარი თავის შენახვას შეძლებენ. ჩვენს სერიოზულ გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ არც ერთი ტექნიკური მიმართულების ინსტიტუტი არ წასულა სხვა უნივერსიტეტში, თუმცა სთავაზობდნენ ძალიან კარგ პირობებს.

თუ რამე კითხვები გაქვთ, მე გისმენთ. გთხოვთ, დასვათ.

**პროფ. როინ იმედაძე:** ბატონო რექტორო, მაინტერესებს ინსტიტუტი სახელად „ტალღა“ რა მიმართულების არის?

**რექტორი:** ეს არის ფიზიკის მიმართულება, სულ ინსტიტუტში არის 22 ადამიანი, რომელთაც ძალიან სერიოზული მიღწევები აქვთ. ამჟამად ისინი ტექნიკური უნივერსიტეტის ფიზიკის დეპარტამენტთან თანამშრომლობენ.

**პროფ. თამაზ ოზგაძე:** რა თქმა უნდა, მხარს ვუჭერთ ინსტიტუტების შემოერთებას, მაგრამ მაინტერესებს, რა დონის ურთიერთქმედება იქნება ჩვენსა და ამ ინსტიტუტებს შორის, ანუ ეს მოხდება ფაკულტეტების თუ დეპარტამენტის დონეზე, შეიძლება თუ არა კადრების გაცვლა, მათი თანამშრომლების გადაყვანა სამეცნიერო შტატში, მათგან პროფესორების მოწვევა და ა.შ.?

**რექტორი:** ჩვენ განათლების შესახებ კანონის შესაბამისად ვმუშაობთ, ხოლო მათ მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სპეციალური კანონი არეგულირებთ, ამიტომ ჩვენი და მათი თანამდებობები ერთმანეთს არ ემთხვევა.

**პროფ. გივი გოლეთიანი:** ბატონო არჩილ, მე მაქვს ორი შეკითხვა: პირველი, ვინაიდან ეს ინსტიტუტები თავიანთი ქონებით გადმოდიან ჩვენთან უზუფრუქტით, ტექნიკურ უნივერსიტეტს გადასახადები ეზრდება და მაინტერესებს, რამდენი წლით ექნებათ მათ დაფინანსება სახელმწიფოსაგან? და მეორეც, რა მუშაობას ვაპირებთ ჩვენ და შესაბამისი ინსტიტუტების ადმინისტრაციის ხელმძღვანელები იმისათვის, რომ ეს ქონება და პოტენციალი, რომელიც მათ გააჩნიათ, რაც შეიძლება მოკლე დროში იქნეს მომგებიანი, რათა ტვირთად არ დააწვეს ტექნიკურ უნივერსიტეტს?

**რექტორი:** ამის შესახებ რაიმე გეგმა ჯერჯერობით მომზადებული არ გვაქვს, ვინაიდან ჯერ კიდევ არ ვიცით ზუსტად, რომელი იქნება ჩვენს შემადგენლობაში, ხოლო რაც შეეხება დაფინანსებას, ვიცით, რომ 3 წელი მათ სახელმწიფო დააფინანსებს.

**პროფ. დავით ჯაფარიძე:** ამ დებულების მიხედვით ხელფასები უნდა აიღონ, დამტკიცებულია მათი ბიუჯეტი?

**რექტორი:** დიახ, მათ გადმოჰყვათ დამტკიცებული ბიუჯეტები.

**პროფ. დავით ჯაფარიძე:** ასაკობრივი ზღვარი თუ ეხება დირექტორებს?

**რექტორი:** კანონში ასაკობრივი ზღვარი გათვალისწინებული არ არის. დავამატებ, რომ ისინი არ არიან ადმინისტრაციული ერთეულები.

**პროფ. დავით ჯაფარიძე:** მაქვს წინადადება – ამ დებულებების მეთოთხმეტე მუხლის პირველ პუნქტი ჩამოვაყალიბოთ შემდეგი რედაქციით: „ცენტრის ქონებასთან დაკავშირებული საკითხები, დაფინანსება და სახელწიფო კონტროლი რეგულირდება და ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად, წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოების მიერ შემუშავებული ნორმებით“.

**რექტორი:** გეთანხმებით, ბატონო დავით, ბარემ აქვე შევიტანოთ ჩასწორება და შემდეგ ერთად დავამუშაოთ ნორმები.

**სპიკერი:** თუ აღარ გაქვთ შეკითხვები, კენჭი ვუყაროთ წარმოდგენილ დებულებას.

*წარმომადგენლობითმა საბჭომ ერთხმად დაამტკიცა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან შემოერთებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დებულებები.*

## ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 28 იანვრის №7 სხდომაზე პროფ. თამაზ ბაციკაძემ წარმოადგინა საკითხი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან შემოერთებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების და ცენტრების დებულებების დამტკიცების შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №387.

*წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან შემოერთებული შემდეგი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების და ცენტრების დებულებები:*

- *ვლადიმერ ჭავჭავანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტი;*
- *ნიკო მუსხელიშვილის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი;*
- *არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტი;*
- *კვების მრეწველობის ინსტიტუტი;*

- მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტი;
- წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი;
- ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტი;
- ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი;
- ინსტიტუტი „ტალა“;
- ინსტიტუტი „ტექინფორმი“;
- საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი;
- ბიოტექნოლოგიის ცენტრი.

ამასთან საბჭოს გადაწყვეტილებით დებულების მუხლი „ცენტრის ქონება, დაფინანსება და სახელმწიფო კონტროლი“ ჩამოყალიბდეს და დამტკიცდეს შემდეგი რედაქციით:

„ცენტრის ქონებასთან დაკავშირებული საკითხები, დაფინანსება და სახელმწიფო კონტროლი რეგულირდება და ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად, წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოების მიერ შემუშავებული ნორმებით“.

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის მეორე საკითხი – სტუდენტთა ინოვაციური საქმიანობის ხელშემწყობი საუნივერსიტეტო ცენტრის „ერთად“ შექმნის შესახებ – მომხსენებელი პროფ. მ. ახობაძე.

**სპიკერი:** ეს საკითხი წინა სხდომაზე გადავდეთ, რადგან გაურკვეველობა იყო დაფინანსებასთან დაკავშირებით, ასევე, ცოტა ნახჩარევად იყო წარმოდგენილი, რამაც გარკვეულწილად უარყოფითად იმოქმედა. მე ბატონ დავითს და ბატონ იგორს გადავეცი დებულება და ვთხოვე მათი შესწავლა, ახლა მოვუსმინოთ მათ და მივიღოთ გადაწყვეტილება.

**პროფ. დავით ჯაფარიძე:** ჩვენ გვაქვს წინადადება, რომ საშტატო განრიგი განისაზღვროს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთო საშტატო განრიგის ფარგლებში.

**სპიკერი:** თუ არ გაქვთ შეკითხვები, კენჭი ვუყაროთ წარმოდგენილ საკითხს.

წარმომადგენლობითმა საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სტუდენტთა ინოვაციური საქმიანობის ხელშემწყობი საუნივერსიტეტო ცენტრის „ერთად“ შექმნა და მისი დებულება.

## ბ ა დ ა ო ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 28 იანვრის №7 სხდომაზე პროფ. ბესიკ ბარკალაიამ წარმოადგინა საკითხი სტუ-სთან არსებული გიორგი ნიკოლაძის სახელობის სამთო კლუბ „შხარას“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №286.

*წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს №286 დადგენილება სტუ-სთან არსებული გიორგი ნიკოლაძის სახელობის სამთო კლუბ „შხარას“ შექმნის შესახებ. ასევე დამტკიცდა ამ ცენტრის დებულება.*

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის მესამე საკითხი – სტუ-სთან არსებული გიორგი ნიკოლაძის სახელობის სამთო კლუბ „შხარას“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №286 – მომხსენებელი პროფ. ბ. ბარკალაია.

**პროფ. დავით ჯაფარიძე:** გვაქვს ერთი შენიშვნა: დაფინანსების წყაროებში მითითებულია ტექნიკური უნივერსიტეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ფულადი სახსრები. მიმაჩნია, რომ ტექნიკური უნივერსიტეტის სახელი უნდა ამოვიღოთ. თუ უნივერსიტეტი გამოუყოფს მიზნობრივად ფულად სახსრებს, ჩვენ დავამტკიცებთ, თუ არადა ადრესატი ტექნიკური უნივერსიტეტი ნუ იქნება.

**სპიკერი:** ბატონი დავითი მართალია და ფორმულირებაც უფრო სწორია, თუკი უნივერსიტეტი გადაწყვეტს, რომ აღმოუჩინოს დახმარება გარკვეულ მიზნობრივ პროგრამას და გამოიტანენ დასამტკიცებლად, ჩვენ არაფერი გვექნება საწინააღმდეგო.

**სპიკერი:** თუ არ გაქვთ შეკითხვები, კენჭი ვუყაროთ წარმოდგენილ საკითხს.

*წარმომადგენლობითმა საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სტუ-სთან არსებული გიორგი ნიკოლაძის სახელობის სამთო კლუბ „შხარას“ შექმნა და მისი დებულება.*

ბ ა დ ა ო ყ მ მ ე ტ ი ლ ე ბ ა №3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 28 იანვრის №7 სხდომაზე პროფ. იგორ კველელავამ წარმოადგინა საკითხი ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა ინოვაციური საქმიანობის ხელშემწყობი ცენტრის „ერთად“ შექმნის და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №376.

*წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს №376 დადგენილება ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა ინოვაციური საქმიანობის ხელშემწყობი ცენტრის „ერთად“ შექმნის შესახებ. ასევე დამტკიცდა ამ ცენტრის დებულება.*

სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, რექტორს და საბჭოს წევრებს მადლობა გადაუხადა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

სხდომის მდივანი,

სტუდენტი

თამარ ბუზიაშვილი